სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/34

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020

სტუ-ის 2020 წლის ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2020 წლის 14 აგვისტოს №05-01/8 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 14 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

- **ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის** ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „წარმომადგენლობითი ხარჯები“ შემცირდეს 5 400 ლარით, საიდანაც 1 000 ლარი გადატანილ იქნეს „სამედიცინო ხარჯებში“, ხოლო 4 400 ლარი – „ოფისის ხარჯებში“;
- **ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის** ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში „მივლინების ხარჯებიდან“ 3 800 ლარი გადატანილ იქნეს „ოფისის ხარჯებში“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 17 ივლისის №612231 ბრძანებით შევიდა ცვლილება „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 28 იანვრის N119 ბრძანებაში, რომლის შესაბამისად, **ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის** ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შევიდეს ცვლილება, კერძოდ „საქონელი და მომსახურების“ პუნქტი შემცირდეს 1 500 ლარით, საიდანაც „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ იქნეს 500 ლარი, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლში – 1000 ლარი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**